

№3- 153

23.02.2018

შპს კამას

რუსთავი, მე-16 მკ/რ



მომხმარებელი.ge

www.momxmarebeli.ge

საკითხს აშუქებს


გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ 2017 წლის ნოემბერში ქ. რუსთავში მაღაზია-საწარმო „კამაში“ შექმნილი და შემოწმებული ხინკლის გადამოწმების მიზნით, 2018 წლის 14 თებარვალს, იმავე მაღაზიაში განმეორებით შევიძინეთ გაყინული ხინკალი, რომელიც შემოწმდა ლაბორატორიულად მიკრობიოლოგიურ მახასიათებლებზე. ლაბორატორიიდან მიღებული პასუხის მიხედვით, პროდუქტში გადაჭარბებული აღმოჩნდა მეზოფილურ-აერობული და ფაკულტატურ-ანაერობული მიკროორგანიზმების რაოდენობა.

ლაბორატორიულ დასკვნასა და შესყიდვის დამადასტურებელ დოკუმენტს გიგზავნით დანართად.

გთხოვთ არ დაუშვათ რეალიზაციაში გაფუჭებული პროდუქტი.

გაცნობებთ აგრეთვე, რომ ინფორმაცია აღწერილი ფაქტის შესახებ გაშუქდა ჩვენს ვებპორტალზე www.momxmarebeli.ge. ინფორმაციაში კონკრეტულად არის მითითებული თქვენი ფირმის დასახელება. იმისთვის, რომ ასეთმა გაშუქებამ თქვენი ინტერესები უსამართლოდ არ დააზიანოს, ჩვენ გაძლევთ საშუალებას დაიცვათ თქვენი ინტერესები შემდეგი შესაძლებლობებით:

- თუ მიგაჩნიათ, რომ ვებპორტალზე თქვენს მიმართ გამოთქმული კრიტიკა არასწორია, თქვენ შეგიძლიათ გამოთქვათ ეს მოსაზრება იქვე, იმავე სტატიაზე კომენტარების საშუალებით. კომენტართან ერთად შეგიძლიათ ატვირთოთ თქვენი სისწორის დამადასტურებელი დოკუმენტები, ფოტოები ან ბმულები. ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ თქვენს მიერ ატვირთული მთელი ინფორმაცია უცვლელად, და ჩვენს მიერ გაშუქებული ინფორმაციის თანაბრად იყოს ხელმისაწვდომი მომხმარებლებისთვის;





მომხმარებელი.ge

საკითხს აშუქებს

www.moxmarebeli.ge

- თუკი ჩვენს მიერ გამოთქმულ კრიტიკას ეთანხმებით, მაგრამ უკვე გამოასწორეთ ის დარღვევა, რომელიც ჩვენს სტატიაშია გაშუქებული, ჩვენ მზად ვართ იგივე მეთოდით გავაშუქოთ ეს გარემოება. ამისთვის თქვენ უნდა დაგვიკავშირდეთ ორგანიზაციის ტელეფონზე და გვაცნობოთ იმის შესახებ, რომ თქვენ გამოასწორეთ დარღვევა და გსურთ ამის დაფიქსირება. ამის შემდეგ ჩვენი წარმომადგენელი გაუფრთხილებლად ეწვევა თქვენს მიერ მითითებულ მალაზიას და შეისყიდის თქვენს მიერ მითითებულ სურსათს. მიღებული შედეგები გაშუქდება იმავე გვერდზე, სადაც აღმოჩენილ დარღვევაზე იყო საუბარი. გთხოვთ გაითვალისწინოთ; მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის თავიდან ასაცილებლად, მიღებული დადებითი შედეგი კიდევ გადამოწმდება, რა თქმა უნდა, მოულოდნელად.

ამავე დროს, გთხოვთ, ჩვენთან ურთიერთობაში შემოიფარგლოთ მხოლოდ გამჭვირვალე მეთოდებით: www.moxmarebeli.ge ვებპორტალზე ან ფეისბუქის შესაბამის გვერდზე (<http://www.facebook.com/moxmarebeli.ge>) კომენტარებით, ან ორგანიზაციის ტელეფონზე დარეკვით.

ინფორმაცია ჩვენს მიერ აღმოჩენილი ფაქტის შესახებ აგრეთვე გადაეგზავნა სურსათის ეროვნულ სააგენტოს.

პატივისცემით,

ვახტანგ კობალაძე

პროგრამის კოორდინატორი